



## ძვირფასო მკითხველებო!

ეს გახლავთ ელექტრონული ბიულეტენი, რომელსაც მედიის განვითარების ბალტიის ცენტრი (BCME) ამზადებს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დამოუკიდებელი მედიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მასში, თავს ვუყრით ყველა საგრანტო განაცხადს და ასევე, სხვა ფინანსურ შესაძლებლობებს უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ბელორუსის მედიებისათვის.

გვსურს, რომ ამ ბიულეტენმა შეგიძლუქოთ დონორების დაფინანსებაზე წვდომა, გაგიმარტივოთ ინფორმაციის მოძიება და ფინანსების მოკრება/ფანდრაიზინგი გახადოს უფრო ეფექტური. კატეგორიაში „დაფინანსების სიახლეები“ იპოვით უახლეს საგრანტო განაცხადებს.

BCME იმედოვნებს, რომ ეს პუბლიკაცია შეიტანს საკუთარ წვლილს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მედიებისა და დონორების დიალოგში, რეგიონის მედია ლანდშაპტის მეტი მრავალფეროვნებისთვის.

თუ კი გაქვთ სურვილები, რეკომენდაციები ან უბრალოდ შთაბეჭდილებები ბიულეტენთან დაკავშირებით, გაგვიზიარეთ მისამართზე: [info@baltic.media](mailto:info@baltic.media).

ვეცდებით მეტს თქვენთვის !

პატივისცემით,  
Funds4Media ბიულეტენის შემდგენები

1. ანაზღაურებადი საბაფხულო სტაჟირება The Washington Post-ში
2. «მონაცემთა ჟურნალისტიკა და ვიზუალიზაცია უფასო ინსტრუმენტებით»
3. სტიპენდიები «ფოტოგრაფია და სოციალური სამართლიანობა»
4. Logan Nonfiction-ის დემოკრატიის განვითარების სასტიპენდიო პროგრამა
5. კლიმატის ცვლილების თემაზე მობილური ვიდეოების ფესტივალი
6. სამეცნიერო ჟურნალისტების სტიპენდიები
7. ჩიკაგოს უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული სტიგლერის ცენტრის სტიპენდია ჟურნალისტებისთვის
8. Hostwriter პლატფორმის მეშვეობით, ჟურნალისტების თანამშრომლობის შედეგად შექმნილი მასალების კონკურსი
9. კონკურსი, სამუშაო მიგრაციის თემაზე მომუშავე ჟურნალისტებისთვის
10. სტიპენდიები ჟურნალისტებისთვის პლატფორმისაგან ArtsEverywhere
11. ბრიტანეთის მთავრობის სტიპენდიები Chevening Scholarships
12. პრალის მედია სკოლის ტრენინგი ჟურნალისტებისათვის სოც. ქსელის ვიდეოების შესაქმნელად
13. ადამიანის უფლებების თემაზე შექმნილი დოკუმენტური ფილმების ფესტივალი
14. ბორნმაუსის უნივერსიტეტის მედიასკოლის ინტერაქტიული ისტორიების კონკურსი
15. გრანტები მხატვრებისა და ჟურნალისტების ერთობლივი პროექტებისთვის
16. გრანტები ჟურნალისტური პროექტებისთვის
17. მედიაინჟინერების ინიციატივა

## 1. ანაზღაურებადი საზაფხულო სტაჟირება The Washington Post-ში

**გეოგრაფია** - მთელი მსოფლიო

The Washington Post <https://www.washingtonpost.com/> სთავაზობს 12 თვიან ანაზღაურებად სტაჟირებას სტუდენტ-ჟურნალისტებს ვაშინგტონში, აშშ. განაცხადების შეტანა შეუძლიათ ჟურნალისტად მუშაობის გამოცდილების მქონე სტუდენტებს, რომლებიც მაღალ დონეზე ფლობენ ინგლისურ ენას. პროგრამა გათვლილია რეპორტიორებზე, რედაქტორებზე, ვიზუალიზაციის ჟურნალისტებზე, დიზაინერებსა და აუდიო ჟურნალისტებზე.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2kmfzXb>

**განაცხადის შეტანის ვადა:** 9 ოქტომბერი 2019 წ. (12:00 EDT) .

## 2. «მონაცემთა ჟურნალისტიკა და ვიზუალიზაცია უფასო ინსტრუმენტებით»

**გეოგრაფია** - მთელი მსოფლიო

Knight ჟურნალისტიკის ცენტრი <https://knightcenter.utexas.edu/> და მისი, მასობრივი ღია ონლაინ კურსების პროგრამა <http://journalismcourses.org/> Google News Initiative -ის მხარდაჭერით <https://newsinitiative.withgoogle.com/> გთავაზობთ უფასო კურსს ინგლისურ ენაზე - «მონაცემთა ჟურნალისტიკა და ვიზუალიზაცია უფასო ინსტრუმენტებით», რომელიც 14 ოქტომბრიდან 24 ნოემბრამდე გაიმართება. კურსს გაუძღვებიან, მაიამის უნივერსიტეტის ვიზუალური ჟურნალისტიკის პროფესორი ალბერტო კაირო <https://twitter.com/AlbertoCairo> და News Lab Google-ის მონაცემებთან მუშაობის გუნდის რედაქტორი, საიმონ როჯერსი <https://twitter.com/smfrogers>.

პროგრამის თემებს შორისაა: როგორ ვიპოვოთ და ჩავტვირთოთ მონაცემები; როგორ მოვამზადოთ მონაცემები ანალიზისთვის და ვიზუალიზაციაში გამოსაყენებლად; როგორ გავიგოთ რას გვეუბნება მონაცემები; როგორ გამოიყენონ ჟურნალისტებმა ხელოვნური ინტელექტი; როგორ შევქმნათ ვიზუალიზაცია და მასალები, მონაცემების გამოყენებით.

კურსში ჩართვისთვის საჭიროა მხოლოდ ინტერნეტთან წვდომა

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2km7Rfs>

**განაცხადის შეტანის ვადა:** 14 ოქტომბერი 2019 წ.

### 3. სტიპენდიები «ფოტოგრაფია და სოციალური სამართლიანობა»

**გეოგრაფია** - მთელი მსოფლიო

Magnum-ის ფონდის და ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის უმაღლესი სკოლის <https://www.journalism.cuny.edu/> ორგანიზებით, მიიღება განაცხადები სტიპენდიაზე „ფოტოგრაფია და სოციალური სამართლიანობა“.

სტიპენდიის მისაღებად განაცხადის შეტანა შეუძლიათ, დამწყებ ფოტოჟურნალისტებსა და კინოდოკუმენტალისტებს მთელი მსოფლიოდან. პროგრამის მიზანია - შეიქმნას სტიპენდიანტების საერთაშორისო ქსელი, რომელიც გააერთიანებს ადამიანებს, რომელთაც არ ჰქონდათ წვდომა საკონსულტაციო დახმარებასთან და ფოტოგრაფიის განათლებასთან, მაგრამ გამოხატავენ აქტიურ პოზიციასა და იცავენ სოციალურ სამართლიანობას.

2020 წლის მარტიდან სტიპენდიანტები მიიღებენ მონაწილეობას ყოველკვირეულ ონლაინ შეხვედრებში, შემდგომში კი გაემგზავრებიან აშშ-ში, სემინარებში მონაწილეობის მისაღებად. პროექტის მონაწილეები ჩაერთვებიან პროექტებში, რომლებიც მიმართული იქნება სოციალური სამართლიანობის აღდგენისაკენ იქ, სადაც ასე არ არის.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2ns3y3s>

**განაცხადის შეტანის ვადა:** 15 ოქტომბერი 2019 წ.

### 4. Logan Nonfiction-ის დემოკრატიის განვითარების სასტიპენდიო პროგრამა

**გეოგრაფია** - მთელი მსოფლიო

Logan Nonfiction Program იღებს განაცხადებს სასტიპენდიო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც 2020 გაზაფხულზე ქერის სახელობის გლობალური კეთილდღეობის ინსტიტუტში გაიმართება, ნიუ-იორკი, ამერიკა.

პროგრამა მიმართულია დემოკრატიის განვითარებისაკენ, დამოუკიდებელი გამომძიებელი ჟურნალისტების გაძლიერების გზით.

სასტიპენდიო პროგრამაზე განაცხადების შეტანა შეუძლიათ ჟურნალისტებს, დოკუმენტური ფილმების ავტორებს, ფოტოგრაფებს, მულტიმედია ჟურნალისტებს და პოდკასტების შემქმნელებს, ავტორებს რომლებიც სიღრმისეულ დოკუმენტალურ პროექტებზე მუშაობენ.

კანდიდატებმა უნდა წარადგინონ განაცხადი და პროექტის იდეა, რომელიც სოციალურად მნიშვნელოვან თემას შეეხება. მაგალითად: პოლიტიკა, ჯანდაცვა, ეკოლოგია, ადამიანის უფლებები ან მართლმსაჯულება. აუცილებელია ინგლისურის კარგი ცოდნა.

ორგანიზატორები უზრუნველყოფენ საცხოვრებელს, კვებას და საკონსულტაციო მხარდაჭერას 10 კვირის განმავლობაში.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2A0K5uq>

**განაცხადის შეტანის ვადა:** 15 ოქტომბერი 2019 წ. **განაცხადების მიღების ვადა:** 23 სექტემბერი 2019 წ.

## 5. კლიმატის ცვლილების თემაზე მობილური ვიდეოების ფესტივალი

**გეოგრაფია** - მთელი მსოფლიო

გაეროსთან თანამშრომლობით ორგანიზებული მობილური ვიდეოების ფესტივალი <http://www.un.org/>, იღებს განაცხადებს რეჟისორებისაგან მთელი მსოფლიოდან.

ვიდეოს ავტორებს – პროფესიონალებს და მოყვარულებს – შეუძლიათ კონკურსზე წარადგინონ თითო წუთიანი ფილმები თემაზე «იმოქმედე გადაუდებლად», რომლებიც მიეძღვნება კლიმატის ცვლილებას. ფილმები უნდა იყოს მობილური მონაცემებით გადაღებული და თან ახლდეს ორიგინალი ენის სუბტიტრები, რომლებიც შეიქმნება პლატფორმა Dotsub-ის გამოყენებით <https://dotsub.com/>.

ოფიციალური შერჩევის შედეგად გამოვლინდება 50 ვიდეო. 14 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე საიტის სტუმრებს შეეძლება ხმის მიცემა; ვიდეო, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს მაყურებლის სიმპათიის პრიზს მიიღებს. გამარჯვებული გაემგზავრება პარიზში, სადაც გაიმართება დაჯილდოვების ცერემონია.

კონკურსის სამ კატეგორიაში გამარჯვებულები მიიღებენ პროდიუსერულ დახმარებას და 20 000 ევროს ოდენობის დაფინანსებას, მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადასაღებად. პრიზები გაიცემა საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისა და სცენარისათვის.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2OPSwhg>

**განაცხადის შეტანის ვადა:** 16 ოქტომბერი 2019 წ.

## 6. სამეცნიერო ჟურნალისტების სტიპენდიები

**გეოგრაფია** - მთელი მსოფლიო

Open Notebook და Burroughs Wellcome-ის ფონდი <https://www.bwfund.org/> არჩევს კანდიდატებს 8 თვიან სასტიპენდიო პროგრამაში მონაწილეობისათვის. სტიპენდიის მოცულობა- 4 200 აშშ დოლარია. განაცხადის შეტანა შეუძლიათ დამწყებ ავტორებს, რომლებიც მუშაობენ სამეცნიერო თემებზე.

გათვლილია, რომ მონაწილეები კონსულტანტების ხელმძღვანელობის ქვეშ დაწერენ 6 სტატიას Open Notebook-თვის და გახდებიან სადისკუსიო ჯგუფის წევრები, რომლებშიც ასევე შედიან წინამორბედი პროგრამების მონაწილეები. კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ სამეცნიერო თემების გაშუქების არაუმეტეს ორწლიანი გამოცდილება. განაცხადების შეტანა შეუძლიათ დამამთავრებელი კურსის სტუდენტებსაც.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2OhMVCT>

**განაცხადის შეტანის ვადა:** 20 ოქტომბერი 2019 წ.

## 7. ჩიკაგოს უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული სტიგლერის ცენტრის სტიპენდია ჟურნალისტებისთვის

**გეოგრაფია:** მთელი მსოფლიო

ჩიკაგოს უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ეკონომიკის და სახელმწიფოს შესწავლის სტიგლერის ცენტრი, ორგანიზებას უწევს სარეზიდენტო პროგრამას ჟურნალისტებისთვის. პროგრამა განხორციელდება ჩიკაგოში 23 მარტიდან 13 ივნისამდე პერიოდში. ის ორიენტირებულია ბიზნესის თემებზე მომუშავე ახალი თაობის ჟურნალისტებზე. მონაწილეები დაესწრებიან სწავლებებს, ღონისძიებებს, ითანამშრომლებენ კოლეგებთან...

ორგანიზატორები ფარავენ ავიამოგზაურობის და ტრენინგის ხარჯებს. ასევე, უზრუნველყოფენ სამუშაო სივრცით და იძლევიან საშუალებას მომზადებული მასალები გამოქვეყნდეს ბლოგზე ProMarket. მონაწილეები ასევე მიიღებენ სტიპენდიას 12 000 დოლარის ოდენობით.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2gb9wPU>

**განაცხადების მიღების ვადა:** 20 ოქტომბერი 2019 წ

## 8. Hostwriter პლატფორმის მეშვეობით, ჟურნალისტების თანამშრომლობის შედეგად შექმნილი მასალების კონკურსი

**გეოგრაფია:** მთელი მსოფლიო

პლატფორმა Hostwriter <https://hostwriter.org/>, რომელიც აკრედიტირებულ ჟურნალისტებს აძლევს საშუალებას ერთმანეთთან პროფესიული კავშირები დაამყარონ და ითანამშრომლონ, აწესებს პრიზს ერთობლივი ჟურნალისტური მასალებისთვის. Hostwriter-ის პრიზი ორი კატეგორიისგან შედგება. Story Prize-ის ფარგლებში გაიცემა პრიზი ერთობლივი, უკვე გამოქვეყნებული ნამუშევრებისათვის: 2000 ევრო - პირველ ლაურეატს, 1000 ევრო - მეორეს. Pitch Prize-ის ფარგლებში კი ჯილდო გადაეცემა თითოეულს პროექტისთვის, რომელიც ჯერ კიდევ არ გამოქვეყნებულა.

მიიღება ნამუშევრები ნებისმიერ ენაზე, მაგრამ განაცხადი უნდა იყოს შედგენილი ინგლისურ, გერმანულ, ესპანურ, ფრანგულ ან პორტუგალიურ ენაზე.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/31MJb0j>

**განაცხადების მიღების ვადა:** 31 ოქტომბერი 2019 წელი



## 9. კონკურსი, სამუშაო მიგრაციის თემაზე მომუშავე ჟურნალისტებისთვის

**გეოგრაფია:** მთელი მსოფლიო

შრომის მსოფლიო ორგანიზაცია <http://www.ilo.org/global/lang-en/index.htm> იღებს განაცხადებს ჟურნალისტებისაგან, შრომითი მიგრაციის კონკურსისთვის.

ჟურნალისტებს შეუძლიათ წარადგინონ: ბეჭდური, ონლაინ, რადიომასალები, ფოტოესე და მულტიმედია მასალები გამოქვეყნებული 2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 31 ოქტომბრამდე.

კონკურსის მიზანია – აჩვენოს სამუშაო მიგრაციის დადებითი გავლენები. ასევე, ხაზი გაუსვას სამუშაო მიგრაციის პოზიტიურ შენატანს იმ ქვეყნებისთვის, საიდანაც ისინი მოემგზავრებიან, სად და რომლის გავლითაც მიემგზავრებიან.

მასალებს ინგლისურის, ფრანგულის და ესპანური ენების გარდა, უნდა ახლდეს თარგმანი.

კონკურსში 4 კატეგორიაა პროფესიონალი ჟურნალისტებისთვის, ერთი კი -სტუდენტებისთვის. მათ შორის, ორი პრიზი შეეხება მიგრანტების სამართლიანი წესით დაქირავებას, ორი კი- სამუშაო მიგრანტების მომავალს.

პროფესიონალური კატეგორიის პრიზები - თითო 1000 ამერიკული დოლარი, სტუდენტური კატეგორიის პრიზი -300 დოლარი და სამუშაო მიგრაციისადმი მიძღვნილ კურსში მონაწილეობა.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2kjTkB8>

**განაცხადების მიღების ვადა:** 31 ოქტომბერი 2019 წელი

## 10. სტიპენდიები ჟურნალისტებისთვის პლატფორმისაგან ArtsEverywhere

**გეოგრაფია:** მთელი მსოფლიო

პლატფორმა ArtsEverywhere <https://artseverywhere.ca/> სთავაზობს სტიპენდიებს სთორითელინგის ჟანრის პროექტებისთვის. პროგრამაში ჩართვისთვის განაცხადების წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტების, რომლებიც აშუქებენ ხელოვნებას. პროგრამის ხანგრძლივობა - ერთი წელი.

სტიპენდია შედგება 15 000 კანადური დოლარისაგან, რაც განკუთვნილია პროექტებზე მუშაობისთვის და 5 000 კანადური დოლარი მოგზაურობისთვის, ადჭურვილობის შესაძენად და პროექტთან დაკავშირებული სხვა ხარჯებისთვის. პროგრამის მონაწილეები უნდა დაესწრონ გახსნის ღონისძიებას და ფესტივალს ArtsEverywhere, რომელიც გაიმართება 2020 წლის 23–26 იანვარს გულეფეში, კანადა.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2IlcTlq>

**განაცხადების მიღების ვადა:** 1 ნოემბერი 2019 წელი

## 11. ბრიტანეთის მთავრობის სტიპენდიები Chevening Scholarships

**გეოგრაფია:** მთელი მსოფლიო

პროგრამაში მონაწილეობისთვის განაცხადის წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს. პროგრამა ფარავს მაგისტრატურაში სწავლის საფასურს. (postgraduate scholarship).

ბრიტანეთის მთავრობის სახელწიფო სასტიპენდიო პროგრამა Chevening Scholarships, დაფინანსებული საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს მიერ (FCO) <https://www.gov.uk/government/organisations/foreign-commonwealth-office> ასევე, პარტნიორი ორგანიზაციების მიერ, ორიენტირებულია სხვადასხვა სფეროს პროფესიონალებზე, მათ შორის ჟურნალისტებზე მთელი მსოფლიოდან.

პროგრამა ითვალისწინებს სრულ ან ნაწილობრივ დაფინანსებას (ჩვეულებრივ – მაგისტრატურის ერთი წლის დაფინანსებას) ნებისმიერ უნივერსიტეტში ნებისმიერ სპეციალობაზე. მიიღება განაცხადები კანდიდატებისაგან, რომლებმაც საბაკალავრო ეტაპი მაღალი შედეგით დაასრულეს და აქვთ 2-დან 5 წლამდე პროფესიული გამოცდილება. აუცილებელია ინგლისური ენის თავისუფლად ფლობა.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2GU68Gz>

**განაცხადების მიღების ვადა:** 5 ნოემბერი 2019 წ

## 12. პრალის მედია სკოლის ტრენინგი ჟურნალისტებისათვის სოც. ქსელის ვიდეოების შესაქმნელად

**გეოგრაფია:** აღმოსავლეთ ევროპა

პრალის მედიასკოლა <http://pragueschool.media/> ორგანიზებას უწევს ვიდეოს შექმნის ტრენინგს, რომელიც გაიმართება თბილისში 2-5 დეკემბერს.

ტრენინგში მონაწილეობისთვის განაცხადის წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს, დიზაინერებს, პროდიუსერებს, მენეჯერებს და სხვა ვიდეოს შექმნით დაინტერესებულ პირებს. ოთხდღიანი კურსი მოიცავს ტრენინგებთან მუშაობას, იდეების ფიჩინგს და გუნდურ მუშაობას. მონაწილეები შექმნიან ვიდეოებს სოციალური ქსელებისა და ვებ გვერდებისთვის. პროგრამა წარიმართება რუსულ ენაზე.

კურსის ღირებულებაა – 500 ევრო. თანხა მოიცავს ონლაინ მოდულს, რომელიც თბილისში ჩამოსვლამდე და წასვლის შემდეგ შედგება.

კონკურსის ფარგლებში შესაძლებელია 700 ევროს ოდენობის სტიპენდიის მიღება, რაც განკუთვნილია კურსის დაფინანსებისა და გზის ხარჯების დაფარვისათვის.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2pLhwP9>

**განაცხადების მიღების ვადა:** 15 ნოემბერი 2019 წელი



## 13. ადამიანის უფლებების თემაზე შექმნილი დოკუმენტური ფილმების ფესტივალი

**გეოგრაფია:** მთელი მსოფლიო

2020 წლის 20-29 მარტს კიევში გაიმართება ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილი დოკუმენტური კინოს ფესტივალი Docudays UA. ფესტივალი ორგანიზებულია უკრაინა-ჰელსინკის გაერთიანებით <http://helsinki.org.ua/en/>.

ფესტივალში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ დოკუმენტური კინოს ავტორებს, რომლებიც ადამიანის უფლებებზე მუშაობენ.

საკონკურსო პროგრამა გაყოფილია სამ ნაწილად, ორი საერთაშორისო კატეგორია: DOCU/WORLD – 30 წუთზე მეტი ხანგრძლივობის ფილმებისთვის, DOCU/SHORT (30 წუთამდე ფილმები) და ნაციონალური კონკურსი Docu/უკრაინა. ამ კატეგორიებში გამარჯვებულები მიიღებენ პრიზის სახით 1 000 ამერიკულ დოლარს.

ასევე გაიცემა ანდრეი მატროსოვის ჟიურის სპეციალური პრიზი და მაყურებლის პრიზი 1000 დოლარის ოდენობით.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2NDuKrl>

**განაცხადების მიღების ვადა:** 20 ნოემბერი, ფინალური 10 დეკემბერი

## 14. ბორნმაუსის უნივერსიტეტის მედიასკოლის ინტერაქტიული ისტორიების კონკურსი

**გეოგრაფია-** მთელი მსოფლიო

აღნიშნულ კონკურსზე საკუთარი ინოვაციური პროექტების წარდგენა შეუძლიათ სტუდენტებს, ბლოგერებს და მწერლებს.

ბორნმაუსის უნივერსიტეტის მედიასკოლია

<https://www.bournemouth.ac.uk/about/our-faculties/faculty-media-communication> იღებს განაცხადებს კონკურსზე New Media Writing Prize (NMWP).

კონკურსზე მიიღება ინოვაციური და ინტერაქტიული სთორითელინგის ჟანრის ნამუშევრები (როგორც მხატვრული, ისე დოკუმენტური), შექმნილი სპეციალურად პერსონალური კომპიუტერებისთვის ან მობილური მონწყობილობისათვის.

კონკურსის მთავარი გამარჯვებული მიიღებს 1 000 ფუნტ სტერლინგს. სტუდენტური კატეგორიის გამარჯვებული მიიღებს 750 ფუნტ სტერლინგს Unicorn Training-საგან. ასევე იქნება გადაცემული პრემიები Gorkana Journalism Award – 750 ფუნტი სტერლინგის ოდენობით და პრიზი პლატფორმა Genarrator-ის ი გამოყენებისათვის 500 ფუნტი სტერლინგის ოდენობით.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/1Vax4Qy>

## 15. გრანტები მხატვრებისა და ჟურნალისტების ერთობლივი პროექტებისთვის

**გეოგრაფია**- მთელი მსოფლიო

Eyebeam Center for the Future of Journalism Craig Newmark Philanthropies მხარდაჭერით, გთავაზობთ 500-დან 5000 დოლარამდე გრანტებს, ჟურნალისტების და მხატვრების ერთობლივი ჟურნალისტური ნამუშევრისთვის. განაცხადის შეტანა შეუძლიათ, მხატვრებისა და ჟურნალისტებისაგან შემდგარი გუნდი, რომელიც მუშაობენ ინოვაციურ და მამხილებელ ჟურნალისტურ პროექტებზე. საგრანტო პროექტები, შეიძლება იყოს გათვლილი ხანგრძლივ პერიოდზე და შეიცავდეს ფოტო, აუდიო, ვიდეო და ტექსტუალურ მასალებს. შესაძლო თემები: მონაცემთან კონფიდენციალურობა, 2018-2020 წლის არჩევნები, ტექნოლოგიების როლი, პოლიტიკური გავლენის გასაძლიერებელი კამპანიები, კვლევა თუ როგორ გამოიყენება ტექნოლოგიების საზოგადოების საზიანოდ, ხელოვნური ინტელექტი, დემინფორმაციასთან ბრძოლა. განაცხადები მიიღებ ინგლისურ ენაზე.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2GU68Gz>

## 16. გრანტები ჟურნალისტური პროექტებისთვის

**გეოგრაფია** - ცენტრალური, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა

Reporting Democracy გთავაზობთ გრანტებს სტატიებისა და გამოძიებისათვის, რომლებიც ეხება ბალკანეთის ქვეყნების და ვიშეგრადის ოთხეულის ქვეყნებში დემოკრატიის საკითხებს.

შეთავაზებულია გრანტების ორი სახე:

- გრანტები ჟურნალისტური პროექტებისთვის, ლონგრიდების, გამოძიების ან ანალიტიკური სტატიებისთვის (ტექსტის მოცულობა დაახლოებით 1 500 სიტყვა);
- გრანტები ცალკეული ჟურნალისტების ან ტრანსსაზღვრო პროექტებისთვის, მათ შორის სტატიებისა და გამოძიებისთვის (ტექსტის მოცულობა დაახლოებით 2 500 სიტყვა).

განაცხადი მიიღება ინგლისურ ენაზე. დაფინანსების მოცულობა დამოკიდებულია პროექტზე.

Reporting Democracy იმართება ბალკანეთის გამომძიებელ ჟურნალისტთა ქსელის, არაკომერციული ქსელის, მეშვეობით, რომელიც პროპაგანდას უწევს სიტყვის თავისუფლებას, ადმიანის უფლებებს და დემოკრატიულ ღირებულებებს სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, ასევე ამ ფარგლებს მიღმა.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/2Xi89S7>

## 17. მედიაწიგნიერების ინიციატივა

მედიის განვითარების ბალტიის ცენტრის მედიაწიგნიერების ინიციატივა - Pilna Doma

კრიტიკული აზროვნების და მედიაწიგნიერების გაზრდის მიზნით, უკვე მესამე წლია მედიის განვითარების ბალტიის ცენტრი ახორციელებს პროექტს ახალგაზრდებისთვის. 2

ტესტი/თამაში, ვიდეო და სხვა მასალები თარგმნილი რუსულ ენაზე, **ხელმისაწვდომია აქ - <https://bit.ly/3328YBO>**. პროექტის მხარდამჭერია ბრიტანეთის საბჭო და ამერიკის საელჩო

© **Baltic Centre for Media Excellence, 2019**

ბიულეტენი შედგენილია დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ გავრცელების საფუძველზე.

### **შემდგენები:**

ალინა რუდინა, არშალუის მურადიანი, დიანა ხოდულინა, ევგენია ოლინიკი, კატრინა ტეტერე-ფროლევა, მარტინშ მურნიევსი, ნაილია ალიევა, თამარ ხორბალაძე, ვიქტორ გოტისანი.

მასალების ქართულენოვანი თარგმანი უზრუნველყოფილია BCME -ს წევრი ჟურნალისტიკის რესურსცენტრის მიერ- JRC. BCME თარგმანის კორექტულობაზე პასუხისმგებლობას არ იღებს. ინფორმაცია დონორების და საგრანტო პროგრამების შესახებ არ არის ამოწურვადი. შემდგენლები იტოვებენ უფლებას შეარჩიონ მეტად მნიშვნელოვანი ასპექტები ბიულეტენში გამოსაქვეყნებლად. BCME გირჩევთ საპროექტი განაცხადების, დონორებთან კომუნიკაციისას ან სხვა საკითხების დროს, იხელმძღვანელოთ ბიულეტენში მითითებული

**ბიულეტენში გამოყენებულია მასალები შემდეგი წყაროებიდან:**

s3.amazonaws.com  
journalismcourses.org  
magnumfoundation.org  
careyinstitute.org  
mobilefilmfestival.com  
theopennotebook.com  
research.chicagobooth.edu  
prize.hostwriter.org  
www.ilo.org  
artseverywhere.ca  
mibma.eu  
chevening.org  
pragueschool.media  
docudays.ua  
newmediawritingprize.co.uk  
eyebeam.org  
balkaninsight.com  
rus.lsm.lv